

მონიტორინგის მთავარი მიზნება

24 თებერვლიდან 2 მარტამდე პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიმულვილის ენა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსა და ამ კონტექსტში გლობალიზაციასთან სტალინისეულ ბრძოლის მეთოდების გამართლებას, ასევე სიმულვილის ენის კონტექსტში შექმნილი და დამკვიდრებული განზოგადების - "ლიბერალისტულ-გლობალისტური ინტერნაციონალის" წინააღმდეგ საქართველოს ეკლესიის მიერ მრევლის მობილიზებას უკავშირდებოდა (ასავალ-დასავალი). რესპონდენტთა მხრიდან (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; სანდრო ბრეგაძე, ეროვნულეზი) სიმულვილის ენა კი ნაციონალიზაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და მათი

ცალკეული მხარდამჭერების წინააღმდეგ იყო მიმართული;

- ერთადერთი შემთხვევა, როცა წამყვანმა ეთერში გასულ სიმულვილის ენის შემცველ SMS გზავნილზე რეაგირება მოახდინა, ტელეკომპანია "კავკასიის" თოქ-შოუ "სპექტრი" იყო. თუმცა, რედაქციას არ მიუღია სათანადო ზომები, რომ მსგავსი შინაარსის გზავნილი პირდაპირ ეთერში არ გასულიყო, როგორც ეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლით არის განსაზღვრული;

გაგრძელება გვ. 2

№ 2, 24 თებერვალი - 2 მარტი



სიმულვილის ენა

ასავალ-დასავალი,
24 თებერვალი - 2 მარტი

ბიორიზი ბიგაური, ჟურნალისტი: "განსაკუთრებით გონებაშეზღუდული ნაცებისა და ნაციონალისტური ლიბერალისტებისთვის კი განვმარტავ: ეს სისხლიანი "კიევური კატლეტი" სწორედ იმ ევროამერიკელი გურმანი კანიბალების შეკვეთილი იყო, უკრაინის ორად გახლეჩისა და ნაწილის მისაკუთრების ავადმყოფურ გეგმებს რომ ატარებენ გულით!..

სტალინიზმ კაცობრიობა არა მხოლოდ ნაციონალური ჭირისგან გადაარჩინა, არამედ მან პირადად, დიდი ხნით გადაავადა ეს ამაზრზენი კაცთმომუღე გლობალისტური კიბო, რომელიც ჰიტლერულ ნაციზმზე არანაკლები უზედურება ადამის მოდგმისთვის."

გაგრძელება გვ. 2

შინაარსი

სიმულვილის ენა	1-4
ანტიდასავლური განწყობები	5
ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	6
ეთნიკური უმცირესობები	7
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	8
სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია	8-9
გენდერული სტერეოტიპები	9
ცრურწმენები	9-10

მონიტორინგის მთავარი მიზნები

დასაწყისი გვ. 1

- ანტიდასავლური განწყობები ძირითადად უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა როგორც რესპონდენტთა (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება), ასევე ჟურნალისტთა (geworld.ge, საქინფორმი, ასავალ-დასავალი) და მაცურებლის (ობიექტივი) მხრიდან. მედიის მხრიდან ადგილი ჰქონდა უსაფუძვლო განცხადებების გავრცელებას თითქოს, უკრაინისა და საქართველოს დაქუცმაცება ამერიკის მეცადინეობის შედეგად ხდებოდა;
- უკრაინაში განვითარებული მოვლენების კონტექსტში რამდენიმე მედია საშუალება (ქრონიკა, საქინფორმი, Geworld.ge) ახდენდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის ამჟამინდელი ლიდერების ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ კუთვნილებაზე დაუსაბუთებელ აპელირებას. აღნიშნული სპეკულაცია კი იმის საილუსტრაციოდ იყო მოყვანილი, რომ დასავლეთი პროცესებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცხო და მიუღებელი პირებით მართავს;
- მედია-კავშირ "ობიექტივის" გადაცემა, რომელშიც პოზიტიურად იყო წარმოჩენილი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ებრაელები, უმცირესობათა მიმართ აღნიშნული მედია საშუალებების ზოგადი სარედაქციო პოლიტიკიდან გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს;
- საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის გარდა, სახელმწიფოს მიერ დამატებით 4 რელიგიური კონფესიის დაფინანსების მიზენშეწონილობაზე საუბრისას, მედია-კავშირ "ობიექტივის" წამყვანები სხვა

რელიგიური გაერთიანებების მიმართ დისკრიმინაციულ კონტექსტში, დაუსაბუთებლად იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა "სექტა" და "სატანისტები". საკამათოა, თავად რესპონდენტის (ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება) მიერ შემოთავაზებული სექტის დეფინიცია სხვა რელიგიურ კონფესიებთან მიმართებაში;

- მომავალი 17 მაისის აქციასთან (ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე) მიმართებით ძირითადად სასულიერო პირები (ქრისტეფორე წამალაიძე, მიტოპოლიტი; ნოდარ ქათამაძე, დეკანოზი) ავითარებდნენ აზრს, რომ ქართველი ხალხი 17 მაისს ლგბტ პირთა აქციას არ დაუშვებდა. ჰომოფობიური გამოხატვა და ლგბტ პირთა მიმართ შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება, როგორც რესპონდენტთა (ირინა სარიშვილი, პარტია "იმედი"; ლინა ბარათაშვილი, მწერალი; ვახტანგ რჩელიშვილი, პარლამენტის ყოფილი წევრი; გია ბურჯანაძე, სახალხო კრება; ილია ვაშაკიძე, ბერ-მონაზონი), ასევე მედიის (ასავალ-დასავალი) მხრიდან იჩენდა თავს;
- გენდერული სტერეოტიპული მიდგომა მედიის წარმომადგენლის (ობიექტივი) მხრიდან გამოვლინდა;
- ცრურწმენების მხრივ დომინანტი თემა კვლავ ID ბარათების საკითხი, მამა გაბრიელის წინასწარმეტყველების ახდენა და ასევე ევროკავშირის შესახებ გავრცელებული დაუდასტურებელი ცნობები იყო, თითქოს წევრ ქვეყნებში ყველა ახალშობილისთვის კანქვეშ მიკრო-ჩიპის ჩაყენება სავალდებულო ხდებოდა.

სიკუთვლილი ქნა

ასავალ-დასავალი,
24 თებერვალი - 2
მარტი

გიორგი გიგაური,

ჟურნალისტი: "მე ეჭვი არ მეპარება, რომ წმინდა მამების წმინდა ნაწილებით ათასწლიანი ქართული ეკლესია სრულიად საქართველოს მობილიზაციას ახდენს დაუნდობელი და უსასტიკესი ლიბერალურ-გლობალისტური ინტერნაციონალისა და მათი აქაური "ხელის გოგო-ბიჭების" გენერალური შეტევის მოსაგერიებლად!.. მათი მიზანი კი ნათელია და ის ჯერ კიდევ ალენ დალესის დოქტრინაში გაჟღერდა! ამას ტოტალური ურწმუნოება და ადამიანის ცხოველად გადაქცევა ქვია!"

ელიზბარ ჯავშელიძე,

სახალხო კრება: "ვანო მერაბიშვილი 26 მაისის გამო უნდა დაისაჯოს, როგორც კანიზალი."

სანდრო ბრეგვაძე, ერო-

ვნულეობი: "გია ნოდია - ადამიანის მსგავსი ცხოველი, რომელსაც სძულს ქართული ეკლესია და ამას დაუფარავი აგრესიით აფიქსირებს. ჩვენი დედა ეკლესიის მტერი გია ნოდია დღეს ნაციონალური ბანდის ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგია... დააკვირდით ნაცებანდის იდეოლოგიის ამ ზიზლით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ზიზლით გაჟღერებულ სიტყვებს და დარწმუნდებით, რომ ეს ბანდა არანაირი პოლიტიკური ოპოზიცია არ არის. ეს არის მტერი

საქართველოსი და ქართველობის მტერი. ძალა, რომელიც სასწრაფო წესით უნდა ამოიშანთოს პოლიტიკური ასპარეზიდან"...

დიტო ჩუბინიძე,

ჟურნალისტი:

"პანკსიელმა ქისტებმა მამლები რომ დაკლეს და დაღუპული თანამემამულეების საფლავებზე მამლის სისხლი მოასხეს, ხომ ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ ისინი შურს იძიებენ? და, საერთოდ, რატომ აგვიანებს ჩეჩნური ვენდეტა სააკაშვილის და მისი მაღალჩინოსნების მიმართ, რომლებმაც ლაფანყურის სისხლიანი პროვოკაცია მოაწყვეს?"



ასავალ-დასავალი: "მე ეჭვი არ მეპარება, რომ წმინდა მამების წმინდა ნაწილებით ათასწლიანი ქართული ეკლესია სრულიად საქართველოს მობილიზაციას ახდენს დაუნდობელი და უსასტიკესი ლიბერალისტურ-გლობალისტური ინტერნაციონალისა და მათი აქაური "ხელის გოგო-ბიჭების" გენერალური შეტევის მოსაგერიებლად!"

ასავალ-დასავალი,
24 თებერვალი - 2 მარტი

ქეთევან ზარნაძე, ყოფილი პატიმარი: "ქალებს მასობრივად დააჭრეს საკვერცხეები და საშვილოსნოები. არავინ იცის რისთვის ჭირდებოდათ, რომელ გველეშაპს კვებავდნენ... გაჩნდა ეჭვები, რომ პატიმრების ამოკვეთილ ორგანოებს გარკვეული პრეპარატების დასამზადებლად იყენებდნენ. იმავდროულად, პატიმრებს იყენებდნენ, როგორც საცდელ ცხოველებს, რათა უცხოეთში შექმნილი მეთოდები და პრეპარატები ცოცხალ ადამიანებზე გამოეცადათ!..

...გამოიკვეთა დანაშაულებრივი სინდიკატის სისტემური საქმიანობა, რომლის სათავეში სანდრა რულოვსი იდგა. ეს იყო ქართველი საზოგადოების ერთგვარი გენოციდი, რომელსაც სანდრა არანაკლები სისასტიკით ახორციელებდა, ვიდრე მისი ბოროტი მეუღლე!"

სიკულვილის ენა

კავკასია, სამხტრი, 24 თებერვალი

ეთერში გასული SMS გზავნილი: "ნაც-ქოცები, მთავრობა, პარლამენტი და ადვოკატები, თავში თუთბერიძე ყველა გაზის კამერაში."

პოზიტიურია, რომ გადაცემის წამყვანმა რეაგირება მოახდინა აღნიშნული SMS გზავნილის შინაარსზე და აღნიშნა, რომ მსგავსი ფაშისტური მოსაზრებები მიუღებელია თუნდაც განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანთა მიმართ. თუმცა, სასურველია, რომ რედაქციამ სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების ფილტრაცია მოახდინოს და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, თავი შეიკავოს "ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე."

დავით აქუბარდია, წამყვანი: "გაზის კამერაში რატომ უნდა შევადგოთ ეს გოგო?... საიდან მოგაქვთ ეს ფაშისტური შედარებები? ამ ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლების რაღაცა... ეს ნაცებიც ადამიანები არიან, კაცო... არ გირჩევთ რა, რაც არ უნდა თავში ბნელი აზრები მოგივიდეთ, SMS ნუ მივრცელებთ. ჩვენთვის სირცხვილია, წლები გავა და გაზის კამერებში არ შეიძლება ადამიანების ამოხოცვა, ეს მსოფლიომ დაგმო".

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი,
24 თებერვალი - 2
მარტი

მლიზბარ ჯაველიძე,
სახალხო კრება: "უკრაინელი ხალხის აბსოლიტურ უმრავლესობას არ სურს ამ გარყვნილ და გადაგვარებულ ევროპულ ოჯახში!"

პრაიმ-ტაიმი, 24 თებერვალი

სოსო ჯაჭვლიანი,
ქართული ოცნება: "იქ [უკრაინაში] დიდი

ინტერესი აქვს რუსეთს, ასევე, ევროპასა და ამერიკას... როცა ჩადიხარ და იქ აშკარად მხარეს იჭერ, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ არ ხარ სწორი."

მირიან ბოქოლიშვილი,
ჟურნალისტი: "ვის გულისხმობთ?"

სოსო ჯაჭვლიანი: "ვის და იმ ამერიკელ დიპლომატებს, რომლებიც ჩადიან და ბულკებსა და რაღაცეებს არიგებენ. ასეთი მხარდაჭერა ვინმემ რომ გამიკეთოს,

გადავატრიალებ ნებისმიერ მთავრობას".

Geworld.ge, 26
თებერვალი

დავით მინდიაშვილი,
ჟურნალისტი: "2008 წლის აგვისტოში, პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას წამოიწყო სააკაშვილმა ცხინვალის სისხლიანი ავანტიურა, რომელმაც, პრაქტიკულად, საქართველოს დაშლა გამოიწვია, ხოლო სოჭის ოლიმპიადის საფინალო ეტაპზე,

გაგრძელება გვ. 5

ანტიდასავლური განწყობები

ასევე ამერიკელების წაქეზებითა და დირიჟორობით, პიკს მიაღწია მაიდანის ავანტიურამ კიევში, რამაც უკრაინა დაშლად აქუცმაცების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა! და ეს ყველაფერი ამერიკის სინდისზეა!..

თუ ახალი ხელისუფლების პირველივე რუსოფობიულ ნაბიჯებს გავითვალისწინებთ, აუცილებლად მოჰყვება დამაბულობის ესკალაცია, რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროვება, იმ რეგიონების ეგზეკუცია, რომლებიც არ იზიარებენ მეიდნის იდეოლოგიას, ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე გააკეთეს საქართველოში – შეესივნენ სამეგრელოს, წამოიწყეს უაზრო ავანტიურები და გაანახევრეს ქვეყანა. ამ ვითარებაში რუსეთის ჩარევა ნიშნავს იმას, რომ ამერიკა მოახერხებს მის ჩათრევას ამ ავანტიურაში...

"წლებია, ვჩივით ქართველები - ვინ და რატომ არჩევს ამ ჩვენებური მეხუთე კოლონის ხელმძღვანელებად ფსიქიკური გადახრების მქონე პირებს, მამათმავლებს, სექტანტებს, უცხოტომელებს, აგენტებს?! თუმცა, პასუხი ყველამ ვიცით: ასეთია ამერიკის მუშაობის სპეციფიკა."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5667>

Geworld.ge, 26 თებერვალი

ღამით მინდიაშვილი, ჟურნალისტი: ".მერე რა, თუ წინ მორიგი 17 მაისი გველოდება?! მერე რა, თუ იმავე უკრაინაში ლგბტ აქტივისტთა მიერ მოწყობილ მსვლელობაში მონაწილეობა შტეფან ფულემაც მიიღო?!.. იცინა ისიც, რომ ეს კაცი [ჯორჯ სოროსი] ეროვნულ ფასეულობებს ებრძვის... არ მალავს, რომ მზად არის, ლიბერალური მოძრაობები დააფინანსოს, ორიენტაციადაკარგულ ადამიანებს დახმარების ხელი გაუწოდოს და ასე წაიყვანოს ევროპისკენ."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5675>



საქინფორმი, 24 თებერვალი

არნო სილირამბიშვილი, საქინფორმის

მთავარი რედაქტორი: "ჰომოსექსუალური ევროპა კი, ისევე როგორც გასული საუკუნის 40-იან წლებში, ისევე უკანალს აათამაშებს - ოღონდაც ფაშისტებმა რუსეთს ავონ!"

<http://saqinform.ge/index.php?>

[option=com_content&view=article&id=17908:2014-02-24-10-14-43&catid=115:redakciisagan&Itemid=530#ixzz2uMXHbFvx](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=17908:2014-02-24-10-14-43&catid=115:redakciisagan&Itemid=530#ixzz2uMXHbFvx)

ოზიმატივი, ღამის სტუდია,

1 მარტი

მსამინელი [სატელეფონო ჩართვა]: ...“აი, რატომ უყვარს ამერიკას და ევროკავშირს სააკაშვილი და რატომ სძულს პუტინი?... იმიტომ ხომ არა, რომ პუტინი არ არის ალბათ მასონური ორგანიზაციის წევრი? ჭკვიანი ადამიანი თვითონ მიხვდება, რატომ ებრძვის ევროკავშირი და ამერიკა რუსეთს ანუ მართლმადიდებელ ქვეყანას...

მართლმადიდებლობა რომ ილუპება, ვერ ვხედავთ ამას ჩვენ?! “

ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება



Geworld.ge:

“ფაქტობრივად, უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსადი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა.”

Geworld.ge, 26 თებერვალი

დავით მხეიძე, ჟურნალისტი: "მათი [მაიდანის ლიდერები] უმრავლესობა არიან გრეკოკათოლიკები; პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ტურჩინოვი ბაპტისტია. არსენი იაცენიუკი და ვლადიმერ კლიჩკო ებრაელები არიან. კლიჩკო ისრაელში შეტანილია გამოჩენილ ებრაელ სპორტსმენტა კრებულში, იაცენიუკის დედა არის თალმუდის (ებრაული მოძღვრება) განმმარტებელთა ერთ-ერთი ცნობილი გვარიდან, მისი მეუღლე ებრაელია, ხასიდების სექტიდან. იულია ტიმოშენკო ხომ სომეხია (გრიგანი)... შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრიც სომეხია - არსენ ავაკოვი. სომხობას თავი დავანებოთ და უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ვიდეო, რომ უკრაინის შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრი არსენ ავაკოვი და პოლიტიკოსი ალექსანდრე კირში გეები არიან... ფაქტობრივად, უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსადი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5667>

ასაკალ-დასაკალი, 24 თებერვალი - 2 მარტი

არნო სიღირაპიშვილი,

საქინფორმის მთავარი რედაქტორი:

"დიახ, უკრაინის ორად გახლეჩის და გრიგან[სომხური ეტიმოლოგიის გვარი]-ტიმოშენკოს ციხიდან გაშვების კვალდაკვალ თბილისში ნიუ-იორკიდან სააკიანი დაბრუნდება."

საქინფორმი, 26 თებერვალი

“მაიდანის მოთავეებმა, რომელთა შორის არცერთი უკრაინელი და მართლმადიდებელი არ არის, სააკაშვილს უკრაინის ხელისუფლებაში მაღალი ოფიციალური თანამდებობები შესთავაზეს!” [სათაური]

"ორივე შემთხვევაში პროვოკაციების უშუალო შემსრულებლებად დასაველეთმა შეარჩია მოთავეები, რომელთაგან ერთიც არ იყო ქართველი ან უკრაინელი: სააკაშვილი - სააკიანი, შს ექსმინისტრი მერაბიშვილი - სენიევი, როგორც ბევრი სხვა, მაგალითად, ეთნიკური სომხები არიან, როგორც ტიმოშენკო - გრიგანი და უკრაინის ახალი შს მინისტრი ავაქოვი - ავაქიანი, ხოლო კლიჩკო და იაცენკო, რა პარადოქსულიც უნდა იყოს, ეთნიკური ებრაელები არიან."

თუმცა, ბოროტმოქმედს ეროვნება არ აქვს - დღეს საქართველოში სომხებისთვის სააკაშვილის სომხური წარმომავლობის ხსენება შეურაცხყოფას უდრის, ისეთსავეს, როგორც გერმანელებთან ჰიტლერის ხსენება."
http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=17949:2014-02-26-13-15-31&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz2uS265AVE

ქრონიკა, 24 თებერვალი

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

"იულია ტიმოშენკო ისეთივე უკრაინელია, როგორც მე ჩუქჩა ვარ. ის ეროვნებით სომეხია მამის მხრიდან".

ეთნიკური უმცირესობები

რეზონანსი, 24 თებერვალი

გაზეთმა "რეზონანსმა" მოამზადა რეპორტაჟი საინგილოდან, რომელიც აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფას და მათ პრობლემებს ასახავს. სტატიის ავტორი ძირითადად რესპონდენტების მიერ შემოთავაზებულ აღწერებს ეყრდნობა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჟურნალისტიც გვთავაზობს რამდენიმე დაუსაბუთებელ ტერმინს: მაგალითად, "ქრისტიანი ჰერი ქართველების თემი", "გამაჰმადიანებული ინგილო ქართველები".



ოზიმატივი, ღამის სტუდია, 25 თებერვალი

პოზიტიური გაშუქების მაგალითია "ობიექტივის" ეთერში ქართველ ებრაელთა თემის წარმოჩენა, რაც უმცირესობების მიმართ მედია საშუალების ზოგადი სარედაქციო პოლიტიკიდან გამონაკლისს წარმოადგენს.

ჯამლეთ სუსაშვილი, სპორტული

კომენტატორი: "მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვარ ებრაელი და დაბადებული ვარ საქართველოში... ეს არის საერთოდ საქართველოს ტოლერანტობის მიზეზი, ეს არ არის მართო ებრაელებისადმი, ეს არის ყველა ერისადმი... არც ერთი ხელისუფალის დროს არასდროს არ ყოფილა ებრაელთა შევიწროვება."

ოზიმატივი: "შემდეგ წამოვიდა ლიბერალური არასამთავრობოებიდან სერიოზული თითის დაქნევა, რომ აქ სხვა რელიგიებიც არის და შეძლება სექტანტების დაფინანსებაც."

ანტიურპული განწყობები

კაკასია, სამხტრი, 19 თებერვალი

ღამით აშუაღრია, წამყვანი: "აი, იმათ [თურქები] უნდა ვაჯობოთ, თორემ ისინი შეგვჭამენ."

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 24 თებერვალი

გადაცემის წამყვანები ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას სახელმწიფოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის გარდა, დამატებით 4 რელიგიური კონფესიის დაფინანსებასაც ითვალისწინებს.

ნიწო რატიშვილი, წამყვანი: "ახლა წარმოიდგინ-

ეთ, თურქეთში, მართლმადიდებლური და ისლამური რელიგია ერთი დოზით რომ ფინანსდებოდეს?! იქ ხომ ჩვენ უმცირესობა ვართ? თუ ვართ საერთოდ, ხომ?.. ეს ხომ მრევლით უნდა განისაზღვროს? და აი, ასეთი მსხვერპლის მიტანა, დასავლეთის წინ თავის დახრა..."

წუპრი ქანთარია, ქართული ოცნება: "მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ტოლერანტები ვართ".

ნიწო რატიშვილი: "შემდეგ წამოვიდა ლიბერალუ-

რი არასამთავრობოებიდან სერიოზული თითის დაქნევა, რომ აქ სხვა რელიგიებიც არის და შეძლება სექტანტების დაფინანსებაც."

ილია ჩაჩიანი, წამყვანი: "სატანისტებიც დავაფინანსოთ, ბარემ" ..

წუპრი ქანთარია: „ნუ ახლა, მათ შეუძიათ ათი კაცი-სგან სექტა შექმნან და დაიკიდონ, რაღაც მოითხოვონ ...“

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=15889>

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

ასავალ-დასავალი,
24 თებერვალი - 2 მარტი

ქრისტეფორე წამალაიკი, მიტროპოლიტი: "მე მწამს, რომ გეი-პარადის ჩატარებას ხალხი არ დაუშვებს."



ნოდარ ქათამაძე, დეკანოზი: "არაფერი არ მოხდება [17 მაისის შესახებ]!...ქართველი ერი არ დაუშვებს ამ სიბილწისა და სოდომ-გომორელების გაჯეჯილებას".

ირინა სარიშვილი, პარტია "იმედი": "ვინ არის მეთიუ ბრაიზა? ლგბტ-ს პირველი საცდელი ნიმუში საქართველოში."

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: "როცა პოლიტიკაში, სულიერებაში, ხელოვნებასა და , საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში "პომადიანი ბიჭების" ბუმია."

ლინა ბარათაშვილი, მწერალი:

"ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისტები მათი დაცვით ხელს ითბობენ, ხოლო ახალგაზრდებს რყვნიან. ერთი სქესის პირების ურთიერთობების დაშვებაზე საუბარი ამაზრზენია... ჩემს წიგნს ჰომოსექსუალი წყვილისთვის არავითარ შემთხვევაში არ გავიმეტებ, უწმინდურებს როგორ გავაკარებ წიგნს, რომლის შესავალ ნაწილს ათი მცნებით ვიწყებ"...

ზაზა ღავითია, ჟურნალისტი: "თუ ქურდულ მენტალიტეს ვებრძვით, როგორც ანტისახელმწიფოებრივს, უპრიანი იქნება ეს ბრძოლა სხვა ანტისახელმწიფოებრივ მენტალიტეტებზეც განევრცოს და აღიკვეთოს მაგალითად ლგბტ მენტალიტეტის პროპაგანდა, რადგან ჩვენს ტრადიციებსა და სულიერ ღირებულებებს უპირისპირდება!"

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "და თუ შედეგს რასტებს აქვთ სისხლის ჩაბარების უფლება, იმ ჩვეულებრივ ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, იცოდნენ, შედეგს რასტის სისხლს რომ გადაუსხამენ?"

პრაიმ-ტაიმი, 24 თებერვალი

ილია ვაშაქიძე, ბერ-მონაზონი: "როგორც ჩანს, ერი სულიერად უფრო მაღლა

დგას, ვიდრე სასულიერო ელიტა, სადაც შედეგს რასტა და შედეგს რასტა ხვედრითი წილი ძალიან მაღალია. კანონიერი შედეგს რასტები და კანონიერი შედეგს რასტები საჯაროდ განდევნილ უნდა იქნან ეკლესიიდან... ცისფერი და შედეგს რასტური კართაგენი უნდა დაინგრეს!"

კავკასია, სემპტრი, 26 თებერვალი

მასტანო რეზულიშვილი, ყოფილი პარლამენტარი: "აი, ეს სოფლური ლაპარაკები - ამერიკა პიდარასტების ქვეყანაა და მე რუსეთი... ბიჭო, რუსეთი რო პიდარასტების ქვეყანაა, პიდარასტები ეგეთი უნდა. მითხრა დეპუტატმა, არ მინდა ეხლა სახელი დავსახელო, რუსეთის სათათბიროშიო ყველა საკითხები კაცის უკანალით წყდებო... იქაც ბლომადაა რა, საქართველოში არ გვყავდნენ, თუ როგორაა მაგათი საქმე."

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 8

ღამით აშუბარდია, წამყვანი: 6

პროცენტია...

ვახტანგ რჩეულიშვილი: "იქ უბრალოდ ამბობენ, არ დავხოცოთ ესენი და თავისი უფლება აქვთ...არ გინდა რომ მამათმავალი თავზე დაგაჯდეს აქა, ისე გააკეთე, როგორც გააკეთეს სლოვენიაში, არჩევანი გააკეთეს, არ მოგცემთ ქორწინების შესაძლებლობას, მაგრამ ცივილიზებულად, არა ტაბურეტკების დევნით და არა მღვდლების ცემით იმ საწყალი პიდარასტების."

<https://www.youtube.com/watch?v=4Es-oRTeOQg&feature=youtu.be>

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 თებერვალი

ბია ბურჯანაძე, სახალხო კრება: "თქვენ იმათ [ლგბტ პირების] გამოხატვის უფლებებზე იკლავთ თავს, არასამთავრობო ორგანიზაციები, გამოხატვის უფლება არა აქვთო. დაგიჯერებდით მაშინ, რომ როდესაც ცხრაას ორმოცდაათ ათას ადამიანს არსებობის უფლება აქვს წლების მანძილზე დაკარგული, არსებობის უფლება და იმათზე ხმას არ იღებთ და იმათ [ლგბტ პირების] უფლებებზე იღებთ ხმას, არ მჯერა, ბატონებო, თქვენი-მეთქი, ფულს იღებთ იმაში და იმიტომ-მეთქი".

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=15944>

გენდერული სტირეოტიპები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 თებერვალი

ილია ჩაჩიბაია, წამყვანი: "...და პირველი კითხვის უფლება დავუთმობთ ნინოს [რატიშვილი, თანაწამყვანი], როგორც მანდილოსანს..."

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=15889>



ცრურწმენები

იმედი, რეაქცია, 28 თებერვალი

კახაბერ კაკაბაძე: "ამ მაისურზე აწერია ამ ბარათის ადებას სიკვდილი მირჩევნია. მე რომ შევთავაზებ ჩემ გიორგიზე, მოვიტან სურათს და გაუკეთებთ პირადობის მოწმობა, უარი მითხრეს. რობოტ აპარატზე სურათზე შტრიხკოლია დატანილი, ფრთხილად იყავით!"

ჯაშურ ნაჭყვიაძე: "მე მიჩნდება ლოგიკური კითხვა: 2014 წლის აგვისტოში საქართველო ხელს აწერს ევროკავ-

შირთან ასოციერების ხელშეკრულებას. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ის ვალდებულებები, რომლის შესრულება მოუწევს საქართველოს... ესე იგი ხვალ იქნება თუ არა აუცილებლობა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა? გახდება თუ არა აუცილებელი ჩვილ ბავშვებში მიკროჩიპების ჩაყენება? ორი დღის წინ წავიკითხე ინფორმაცია ინტერნეტში, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ჩვილ ბავშვებზე აუცილებელი ხდება მიკრო ჩიპების ჩაყენება 2015 წლის

მაისიდან."

მამა ბასილ ახვლედიანი: "სამი 6-იანი არასდროს არავის არ უთქვამს. ძალიან მარტივად თქვა უწმინდესმა ამასთან დაკავშირებით: დავუშვავთ და ხვალ რომ მოვიდეს ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი ადამიანი და მათ ჩვენ ყველა ინფორმაციას ბაზირებულს ვაძლევთ, მაშინ ამ შემთხვევაში შეიძლება თუ არა ეს იყოს ადამიანის წინააღმდეგ გამოყენებული, იმ შემთხვევაში, თუ ის პოლიტიკურ პროტესტს გამოხატავს იმ კონკრეტული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისადმი?"

გაგრძელება გვ. 10

ცრუ რეპორაჟები

დასაწყისი გვ.

კვირის კალიტრა, 17-23 თებერვალი

ჟურნალისტი კახაბერ კენკეზაშვილი მამა გაბრიელის წინასწარმეტყველების ახდენას მკითხველს რეალურ ფაქტად სთავაზობს.

პირველი, 6 თებერვალი; Geworld.ge, 28 თებერვალი

იტალიურ გამოცემა „Corriere di Roma“-ზე დაყრდნობით, სააგენტო პირველი და ინტერნეტ-პორტალი geworld.ge ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ყველა ახალშობილისთვის კანქვეშ მიკრო-ჩიპის ჩაყენება სავალდებულო ხდება. აღნიშნული ინფორმაცია არ არის გამყარებული ევროკავშირის მიერ გამოცემული შესაბამისი რეგულაციით, რომელიც დამაჯერებლობას მისცემდა გავრცელებულ ცნობებს.

http://pia.ge/show_news.php?id=5598&lang=geo <http://geworld.net/ViewGE.php?G=7988&lang=ge>

პოლიტიკური სპეკულაციები

ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი - 2 მარტი

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: "მეუფეო, გიგა ბოკერიას "ნაცისტური" ხროვის ვიწრო წრეში უბრძანებია - რომელი სასულიერო პირიც 17 მაისს გვი-პარადის ჩატარებაში ხელს შეგვიშლის, იმათ წინააღმდეგ კომპრომატებს გამოვაქვეყნებთო."

ქრონიკა, 24 თებერვალი

სათუნა ელბაძიძე, ჟურნალისტი: "ვანო მერაბიშვილი ხალხის ფულით, ბიუჯეტის ფულით ახორციელებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ძირის გამოთხრას, მის დისკრედიტაციას, ეკლესიაში აგენტების მომრავლებას. ხალხო, ბიუჯეტში ჩვენ მიერ გადახდილ ფულს იყენებდა ჩვენსავე ეკლესიის დასასუსტებლად!.. მილიონობით ქართველი და არაქართველი მორწმუნე მართლმადიდებლის გრძნობების აბუჩად აგდება და ფეხქვეშ გათელვა უნდა ეპატოს მერაბიშვილს და რაღაც მეთაურობის ხოვან ბრალდებებს უნდა ედავეოდეს პროკურატურა?... რატომ ინდობს ემპაქისეულ ვანო მერაბიშვილსა და სხვა „ნაციონალებს“ პროკურატურა, მართლა საინტერესოა?"

პირველი, 25 თებერვალი

"პარლამენტის წევრის, ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, ავსტრალიელი დეპუტატი ჰაიდემარია გიურერი დაინტერესდა, ატარებს თუ არა ქართული ეკლესია რუსეთის ინტერესებს."

„დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება, რომ ქალბატონ გიურერს, ისევე როგორც ჩვენს დანარჩენ უცხოელ კოლეგას, აწვდიან არასწორ ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის როლისა და ფუნქციონირების შესახებ... ახალი ნეგატივი წამოვიდა ოპოზიციის მხრიდან, რომ გაურკვეველი ბრალდებებით შეამკონ ქართული ეკლესია“.

სხვადასხვა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა 2013 წლის ანგარიში, რომელშიც 17 მაისის მოვლენები და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების საკითხები პრობლემურად იყო წარმოჩენილი, სატელევიზიო მედიიდან დღის მთაბარ გამოშვებებში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რუსთავი 2-მა, იმედმა და კავკასიამ გააშუქეს. ტაბულამ აღნიშნული თემა ვრცლად თოქ-შოუ "ფოკუსში" განაგრძო.

კოლუმბიის უნივერსიტეტში პრემიერ-მინისტრის განცხადება, თითქოს გასულ წლის 17 მაისს ლაგტი პირთა აქციის დროს არავინ დაშავებულა, არც პრაიმ-ტაიმის სადამოს სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში, არც ბეჭდურ და ონლაინ მედიაში გაშუქებულა, გარდა ინტერნეტ-პორტალ "ნეტგაზეთისა".

ნებგაფითი, 28 თებერვალი

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი: "მე ასევე მინდა გითხრათ, რომ ყოველ წელს, მაგალითად, 2011, 2010, 2009 წლებში ეწყობოდა LGBT პირთა დემონსტრაციები, ისინი იყვნენ ძალადობის მსხვერპლი, მათ ცემდნენ სხვა პირები და პოლიციას არ შეეძლო მათი დაცვა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც არავინ დაშავებულა, არავის არ დაპირისპირებია, მე პირადად ვიყავი ჩართული ამ ადამიანების დაცვის საკითხში."

MDF
GDI

www.mdforgeorgia.ge

ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com

www.gdi.ge

დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge